**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი**
**ბრძანება №14.14210706**
**11 მარტი 2021 წ**

**მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადების მიღების მეორე ეტაპის დაწყების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1**. დაიწყოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადების მიღების მეორე ეტაპი და დასრულდეს 2021 წლის 28 მაისს.

**2**. მეორე ეტაპი განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს პირველ ეტაპთან დაკავშირებით გამოცემული აქტებით დადგენილი წესით, ამავე აქტებით მეორე ეტაპისათვის დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

**3**. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის მენეჯერებმა ყოველკვირეულად (კვირის ბოლოს) უზრუნველყონ შემოსული განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისი სამუშაო ჯგუფისათვის მიწოდება.

**4**. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**5**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**6**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2021 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე (2021 წლის 1 მარტიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ განაცხადებზე და მათ საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

არჩილ ჩიქოვანი
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)